ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2797920

ნომერი: AR1433522

თარიღი : 22.08.2016

გაცემის თარიღი : 26.08.2016

გაცნობის თარიღი : 26.08.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანი ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ჯაბა ჩხაიძე პ/ნ 01031003768
- თბილისი რ.თაბუკაშვილის ქ. N 19ა

ორგანიზაცია:
- შპს "აღმშენებელი" კოდი: 203835920

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა

თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს: ვინაიდან თქვენს თქვენს

დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი, თქვენს მიერვე რუკაზე მონიშნული ადგილი (საკ. კოდით N

72.13.33.805) პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით

მდებარეობს სარეკრეაციო ზონა რზ-3-ში .

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების თანახმად

სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) — სარეკრეაციო ქვეზონა, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული

ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ დასასვენებელი, სამკურნალო, სპორტული და გასართობი

გამოყენების ტერიტორიებს, სადაც — დასაშვებია განაშენიანების რეგულირების წესების დანართი-1-ით

განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობები.

ა) ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების ძირითადი დასაშვები სახეობები:

•პარკი;

•ბაღი;

•სკვერი;

•ბულვარი;

წარმოადგენს ამ ზონისათვის დასაშვებ სახეობას ამიტომ 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების თანახმად მუხლი 22.-ს მიხედვით სპეციალური (ზონალური) შეთანხმება ხორციელდება მე4 მე-5 პუნქტების გათვალისწინებით.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას ამ ეტაპზე დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა. აღნიშნულის თაობაზე უკვე გეცნობათ სამსახურის № 2775009 გადაწყვეტილებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.